სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/137

14 სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

**დროებით საფაკულტეტო კომისიებში გასაუბრების დისტანციურად ჩატარების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანების, „„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №820260 ბრძანების, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიებში ჩატარდეს დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, 2020 წლის 15 სექტემბერს; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს 16 სექტემბერს $10^{00}$ საათზე;
2. დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს, უზრუნველყონ დოქტორანტურაში სწავლის მსურველებისათვის გასაუბრების დისტანციურად ჩატარების გრაფიკის შედგენა და მათთვის ელ.ფოსტის და/ან ტელეფონის საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება (მიღების დადასტურებით) ვირტუალური აუდიტორიის ელექტრონულ მისამართთან ერთად.;
3. იმ პირებისათვის, რომლებსაც არ აქვთ წვდომა Zoom-ის პლატფორმასთან ან ვერ მიიღებენ წინა პუნქტში მითითებულ ინფორმაციას, ფაკულტეტის დეკანატების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი აუდიტორიისა და კომპიუტერის გამოყოფა გასაუბრების დისტანციურად გავლისათვის;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე